

„საერთო სასამართლოების მიერ ნორმათა კონსტიტუციის შესაბამისად
განმარტების ფარგლები“

ნინო თედეშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე, საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ქეთევან ერემაძე, სამართლის დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

თბილისი, 2022

განაცხადი

წარმოდგენილი ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ვაცხადებ, რომ იგი არ შეიცავს სხვა ავტორთა მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ნინო თედეშვილი

02.07.2022

აბსტრაქტი

საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე თავში მოცემულია სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი ორი დამოუკიდებელი სასამართლო - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები. საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება, ხოლო მართლმსაჯულების განხორციელება წარმოადგენს უშუალოდ საქართველოს საერთო სასამართლოების კომპეტენციის სფეროში შემავალ საკითხს. ერთი შეხედვით, საქართველოს კონსტიტუცია ცალსახა მიჯნას ავლებს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების კომპეტენციის განსაზღვრისას, თუმცა საკითხის სიღრმისეული შესწავლა და ნორმათა პრაქტიკული გამოვლინება ადასტურებს, რომ არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც საჭიროებს განმარტებას.

ნაშრომის მიზანია, სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეისწავლოს და მოიკვლიოს საერთო სასამართლოების მიერ ნორმათა კონსტიტუციის შესაბამისად განმარტების ფარგლები და წარმოაჩინოს ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც საჭიროებს დაზუსტებას.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუცია მეექვსე თავში განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების უფლებამოსილებათა კონსტიტუციურ ფარგლებს. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ფარგლების შესაბამისად საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ და საქართველო ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ დეტალურად განსაზღვრავს სასამართლოთა კომპეტენციის განხორციელების ინდივიდუალურ ფარგლებს. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ 31³ მუხლში პირდაპირ მიუთითებს იმ საფუძვლებზე, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ სარჩელს ან/და კონსტიტუციურ წარდგინებას წარმოებაში არ მიიღებს. მათ შორის არის მოცემული მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო

სასამართლო წარმოებაში არ მიიღებს კონსტიტუციურ სარჩელს ან/და წარდგინებას თუ მასში მითითებული არც ერთი საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი. შესაბამისად, იბადება ლოგიკური კითხვა, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც საერთო სასამართლოები ნორმათა განმარტების საფუძველზე წყვეტენ კონკრეტულ დავებს, ნორმათა განმარტების რა კონსტიტუციურ-სამართლებრივი ფარგლებით არის შემოსაზღვრული საერთო სასამართლოთა უფლებამოსილება, სად სრულდება მართლმსაჯულების განხორციელება და სად იწყება კონსტიტუციური კონტროლი?

მოცემული ნაშრომში სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე სხვა პრობლემურ ასპექტებთან ერთად მოკვლეული და შეფასებული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორიცაა:

- საერთო სასამართლოების მიერ კონსტიტუციის საფუძველზე ნორმის განმარტების პრაქტიკა;
- საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილება და ვალდებულება;
- საერთო სასამართლოების მიერ ნორმათა განმარტებისას მართლმსაჯულებისა და საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციების განხორციელებას შორის ზღვრის დადგენა.

სწორედ, ზემოაღნიშნული საკითხების პრობლემურობის გამო საჭიროდ ჩავთვალე წარმოდგენილი საკითხების დამუშავება და შესწავლა. აღნიშნული ნაშრომი საინტერესო უნდა იყოს როგორც იურისტებისთვის, ისე ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოები, საქართველოს კონსტიტუცია, ნორმის განმარტება.

Abstract

Chapter 6 of the Constitution of Georgia lists two independent courts exercising judicial power - the Constitutional Court of Georgia and the common courts. According to the second paragraph of Article 59 of the Constitution of Georgia, the exclusive jurisdiction of the Constitutional Court is the exercise of constitutional control, and the administration of justice is a matter directly within the competence of the common courts of Georgia. At first glance, the Constitution of Georgia draws an unambiguous line in defining the competence of the Constitutional Court and the common courts, but an in-depth study of the issue and the practical manifestation of the norms confirm that there are a number of issues that need to be clarified.

The aim of the paper is to study and examine the scope of interpretation by common courts in accordance with the Constitution of Norms on the basis of the analysis of case law and to present the main aspects that need to be clarified.

As already mentioned, Chapter 6 of the Constitution of Georgia defines the constitutional scope of powers of the Constitutional Court and common courts. In accordance with the limits established by the Constitution of Georgia, the Organic Law of Georgia on the Constitutional Court of Georgia and the Organic Law of Georgia on Common Courts define in detail the individual scope of jurisdiction of the courts. The Organic Law of Georgia on Article 313 of the Constitutional Court of Georgia directly refers to the grounds on the existence of which the Constitutional Court will not accept a constitutional claim and / or a constitutional submission. Among them is sub-paragraph "c" of the first paragraph of the given article, according to which the Constitutional Court will not accept the constitutional claim and / or submission in the proceedings if none of the issues mentioned in it are adjudicable by the Constitutional Court. Consequently, a logical question arises, in each specific case, when the common courts resolve specific disputes on the basis of the definition of norms, what is the constitutional-legal framework of the definition of norms, where is the administration of justice and where does the constitutional review begin?

Based on the analysis of case law, this labour will explore and evaluate, among other problematic aspects, such important issues as:

- The practice of common law interpretation of the norm by the common courts;
- The authority and obligation of judges of common courts to appeal to the Constitutional Court;
- Establish a line between the exercise of the functions of the judiciary and constitutional oversight in the interpretation of norms by common courts.

It is because of the problematics of the above-mentioned issues that I considered it necessary to process and study the presented issues. This paper should be interesting for lawyers as well as for any other interested person.

Keywords: Constitutional Court, Common Courts, Constitution of Georgia, Definition of norm